


გაზეთის ღირებულება

გაზეთის ღირებულება: ერთი წელი—ექვსი მან., ნახევარი წელი—სამი მან., სამი თვე—ერთი მან. და სუბსკრიპციის შარში, ერთი თვე—სამი აბაზი.

წერილები ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЗБА“.



ხელის-მოწერა

ქუთაისში: ბაზეთის „საბჭო“ კონტორში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

ბაზეთი შემდეგი აღრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЗБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზე, სოლომონ შირიანოვის სახლებში.

კანტონა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედნაზე, შაბუროვის სახლებში.

გაზეთის „დროება“ გამოსვლა 1875 წელს.

მომავალ წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოვა

ძვირად, ოთხშაბათობით და პარასკეობით. გაზეთის ფორმატი ცოტათი ეხლანდელზე უფრო პატარა იქნება.

გაზეთის ღირებულება:

წელიწადში გაგზავნილ და გაუგზავნილად 8 მან.
ნახევარ წელიწადში 4 მან. და ათი შაური
ერთი თვისა 1 მან.

ხელის-მოწერა

მიიღება თუ ილიაში: „დროების“ რედაქციის კანტონაში, მედიკოსების სტამბაში (ბანკის ქუჩაზე), ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში და შაქარია ჭეიშვილთან, (სასულიერო სასწავლებელში) შოთს—ზურაბ პრუშკოვთან, ბორს—სოფრომ მგალობელთან (სას. სასწავლებელში), ქვირილაში—მ. ლ. ლამბაშიძესთან. ახალ-სენაკს—ნიკ. ლგებუაძესთან და ალექ. იოსელიანთან, ზუგდიდს—ალექს. ჩიკოიძესთან, ხონს—ივ. ჯიანთან და ბიორგი ჩიქოვანთან, მცხეთას—ალექს. ფულუკიძესთან, ქუთაისს—როსტ. მარდ. მიქელაძესთან, სიღნაღს—ლევან ჯანდიერთან, თელავს—იოსებ ალექს. სულხანოვთან, ქვარციხეს—მიხ. ანდრონიკაშვილთან, ახალციხეს—ნიკ. მესხიევთან და ანა მუსხელიანთან, მ. ზურგეთს—ანტ. ნაკაშიძესთან.

ამას გარდა ქალაქ გარეშე მცხოვრებთა პირ და პირ რედაქციაში შეუძლიანთ თავიანთი მოთხოვნების გამოგზავნა, ამ აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дрозба“

შინაარსი:

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1875 წელს. რედაქციისგან, განცხადება კალენდრის გამოცემაზე. —საქართველო: ქართული სახელმძღვანელოები. —წერილი ამბები. —„დროების“ კორექტირება. —შორიამ. —შორანის უფლები — რუსეთი. —წერილი იამბები. —საქართველო: საფრანგეთი, —გერმანია, —იტალია. —საქართველო: მონაცემები და მათი სახელმძღვანელოები. —სამართალი: თ. კიკო ჩოლოყაშვილისა და იმის ცოლის საქმე. —ნარკვეი. მანცხადებანი.

რედაქციისაზარ

მს ნომერი „დროებისა“ ამ წლის უკანასკნელი ნომერია. ამის შემთხვევაში დაბეჭდილის განცხადებებზე შეიტყობთ, რომ მომავალ, 1875, წელს ჩვენი გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვა: ახალი ფორმატით და პირველი ნომრის გამოცემა ცოტა მომეტებულ დროსა და შრომას თხოვლობს; ამის გამო, იმედი გვაქვს, მკითხველი მოგვიტყვევებს, რომ ამ წლის ერთ ნომერს ვაკლებთ.

მომავალი წლის პირველი ნომრით ჩვენს მკითხველებს ახალ წელიწადს მოულოცავთ.

ჩვენს მომავალს ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, რომ რაც შეიძლება დაუჩქარონ თავიანთი მოთხოვნების გამოგზავნას, გაზეთის დაბარების თაობაზე. მს აუცილებელია საჭიროა როგორც რედაქციისათვის, რადგან დაბეჭდილი აღრესები უნდა დაამზადოს, აგრეთვე თვითონ ხელის-მომწერლებისთვისაც, რომელთაც უკვე ველოია, ჰსურთ, რომ გაზეთი თავის დროზე და ბეჯითად მიუვიდეს.

მინც ახალ წელამდე ვერ მოასწორობს გაზეთის დაბარებას, იმათ ყველა გამოსული ნომრები ერთად მოუვთ.

მომავალს კვირაში გამოვა

უფრო ვრცელი

„დროების“ კალენდარი

ქართველებისა, სომეხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დროების“ რედაქციისგან

ბაიყიძე: თუილისში—მართანოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზლებში.

შასი ექვსი შაური.

საქართველო

ქართული სახელმძღვანელოები

ამ წლის „დროების“ უკანასკნელ ნომერში ურიგო არ იქნება, წარუდგინოთ მკითხველს ანგარიში ერთი ისეთი საქმისა, რომელსაც ჩვენს სახალხო განათლებაზე დაახლოებით კავშირი აქვს. ჩვენ ვამბობთ ქართულს წინაზე და ქართული შკოლებითავე სახელმძღვანელოების გამოცემის თაობაზე.

მკითხველს ესტამბა, რომ თითქმის წელიწადზე მეტია, რაც უფ. სტ. ზარაფოვა ჩვენს გაზეთში გამოაცხადა, რომ ვინც ჩვენი სახალხო შკოლებისათვის სახელმძღვანელოებს შეადგენს, ოც თუმანს პრემიას მიიღებს და ამას გარდა შედგენილ სახელმძღვანელოებს ჩემის ხარჯით გამოცემო. მს საქმე უფ. ზარაფოვა „დროების“ რედაქციას მიანდო, რომელსაც ამ გვარად კომისიის შედგენა უნდა ეკისრნა. მს კამისია პრემიაზე წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს გადახდა და გადაწყვეტდა: ღირსია ეს სახელმძღვანელო პრემიისა და გამოცემისათუ არა. დასაჩუქრებული სახელმძღვანელოების გამოცემა თვითონ „დროების“ რედაქციას აქვს მიზნობილი.

თუ ჩვენ ბევრი არ გვიყვრია, ეს იმას კი არ ამტკიცებს, რომ „დროებისგან“

ამორჩეული და ექვსი კაცისგან შემდგარი კამისია უსაქმოდ იყო.

მას აქვთ ექვსი სახელმძღვანელო იყო წარმოდგენილი „დროების“ რედაქციაში:

- 1) საეკლესიო ისტორია საქართველოში,
- 2) შემოკლებული ქრება (ენციკლოპედური) ყველა სახელმძღვანელოებისა,
- 3) ისტორიული სურათები—საქართველოში,
- 4) „საყმაწვილო ძონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებებზე,
- 5) სახალხო შკოლის არითმეტიკა და
- 6) ძირვე მეორე არითმეტიკის კამისია ამ დღეებში მოვილი.

ამ თხზულებებზე კამისიამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი წიგნი იცნა უფ. ზარაფოვის პრემიის ღირსად; ეს არის „საყმაწვილო ძონა“ უფ. ი. ზოგებაშვილისა, რომელიც კიდევ დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა.

დაწარჩენი შრომების თაობაზე კამისიამ შემდეგი გადაწყვეტილება დადვა:

„საეკლესიო ისტორია საქართველოში“ დაუბრუნდა ავტორს ზოგიერთი ნაკლები ნაწილის გზასწორებელად;

„შემოკლებული ქრება სახელმძღვანელოთა“ შკოლებში გამოუსადეგარ წიგნად დაინახა და ავტორს დაუბრუნდა;

„ისტორიულ სურათებში“ ზოგიერთი სტატიები მოიწონა და ზოგი არა. ავტორს დაუბრუნეს დაწუნებული სტატიების მაგიერად, სხვა ახლების შესადგენად;

„სახალხო არითმეტიკა“ კამისიას ღირსი ხანი არ არის, რაც მოუვიდა და ამის გამო ჯერ, ამ სახელმძღვანელოს თაობაზე, თავის განჩინება არ დაუდგენია.

ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი წლისა და ნახევრის განმავლობაში კამისიას ექვსი სახალხო სახელმძღვანელო ჰქონდა ხელში გადასახდელად. ამათში მეტი თუ არა, უეჭველია, ორი ან სამი მინც გამოდგება და პრემიისა და გამოცემის ღირსი შეიქნება.

თუ შემდეგშიც ამნაირადვე წავიდა ეს საქმე, სრული იმედი უნდა ექონიოთ, რომ ორი-სამი, ბევრი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს სახალხო შკოლებს ყველა საჭირო სახელმძღვანელოები ექნება.

მაშინ იმ პირთა, რომელნიც მიხვებს პოულობენ და ამბობენ, რომ ქართულს ენაზე სწავლა არ შეიძლება, რადგან ამ ენაზე სახალხო შკოლებისათვის სახელმძღვანელოები არ არის, მაშინ იმ პირთა ამის თქმის უფლება აღარ ექნებათ...

ს. მესხი

„მოსკოვის“ უწყებებში პეტერბურგიდან მიღებული დეპეშა დაბეჭდილი, რომელიც გეტყობინებს, უმაღლესი ბრძანება არის, რომ ძველისა აქეთა მხარეში ახალი ქალაქის წესდება თან და თან და საჭიროების დახვეით უნდა დაწესდეს.

აქაურს ტენიკურ საზოგადოებას მთავრობასთან აზრი წარუდგენია, რომ ძველისაში გაამწესონ არხების გამოყენის მცოდნე პირები.

საჩინოდამ გვეწერენ, რომ ერთმა ყმაწვილმა კაცმა ამას წინათ სოფ. მანს შკოლა გახსნა და ამ შკოლაში ეხლა ორმოცამდე შვირდი დაიარება და სწავლობს. ამას გარდა ი. პ. ლ—ს განზრახვა აქვს, რომ სოფ. სალხინო, საზოგადოების თავში ვაქებისა და ქალებისათვის შკოლა გახსნას.

უფ. პ—ეზ—მე შორანადამ გვეწერს, რომ ჩვენი უეზლის გლეხები ზოგიერთი მემამულეებისაგან ძალიან შევიწროებულნი და შეწუხებულნი არიან ასე, რომ ბატონკომისის მოსპობა იმათ მავდენათ არც კი უგრძნობიათ. მანსაკუთრებით ორი ღირსი ჩვენებური მემამულის — ბ. ზისა და ჩის ადგილებზე დასახლებული ყმები ძალიან უკაყოფილებას აცხადებენ თავის ბედზე. ამის მიზეზი, როგორც კორესპონდენტი იწერება, უფრო ხშირად ის არის, რომ თვითონ მემამულეები არ არიან აქ და იმითი მოურავეები კი გლეხებს სრულბით არა ზოგავენო...


შეცდომით ვეთქვათ ამას წინათ, რომ ვითომც ქუთაისში ლოტოს თამაში იყოს გაცხარებული. ლოტოს თამაშის მაგიერად, ლატარიების თამაში უნდა გვენათქვა. მართლაც, ჩვენი კორესპონდენტი — უფ. ატოცილი ენა წყლიანად გვეწერს ამ ლოტოს თამაშობაზე, რომელიც თითქმის ყოველ ქაშს არის თურმე ქუთაისში. მანსაკუთრებით ქალები და ახალგაზდა მწერლები იჩენენ თურმე ამ ხელობაში თავს: ზოგი საათს ადგებს ლატარიაში, ზოგი ხონას, ზოგი ქამარს, ზოგი კაბას, ბეჭედს და სხვ. და ხუთეჭვს მანეთიან საქონელში ხანდისხან ორსამ თუმანსაც იგებენო.

მართი ლატარის სის ფურცელზე კორესპონდენტს შემდეგი სიტყვები ამოუკითხავს: ლატარია, რომელიც შესდგების ერთის დაბალ-ტანოვანის ქალის კაბიდან, ითამაშების დროების გასატარებელად, სადაც იქნებიან ახალგაზდა ქალები და მუზიკა. შასი ბილეთისა არის მანეთი. ხოზიკა გთხოვთ ყველას განურჩევლად, რათა მოზრძანდეთ და ისიამოვნოთ.

ზოგიერთ სიგებზე ძალიან ახირებული ხელის მოწერაა თურმე; მაგ. ერთს სიაზე ეწერა: „შავ თვალბიანის ბედზე“, მეორე ციფრთან: „სოზიაკის ბედზე“, მესამესთან: „საყვარლის ბედზე“, მეოთხესთან: „ბ...ს ბედზე“, მეხუთესთან: „მურა ძაღლის ბედზე“ და სხვ. და სხვ.

ბი, ამნაირად ვატარებთ აქ დროსა, გვეწერენ.

ქუთაისიდან მოგვივიდა ამბავი, რომ წასულ კვირას იქ კონცერტი ყოფილა, რომელშიც, სხვათა შორის გიმნაზიელების ხორასაც მიუღია მონაწილეობა. კონცერტის



შემოსავლი გიმნაზიუმებისათვის მუხიკა-
ლური ინსტრუმენტების საყიდლად არის და-
ნიშნულია. როგორც გაიგონეთ, რამდენ-
სამე ამისთანა კონცერტის გამართვას კიდევ
აპირებენ და შემოსავალი იქაური ღარიბი
გიმნაზიუმების სასარგებლოთ უნდა მოახმა-
რონო. ძარგი და მოსაწონი აზრია...

ბოლომდე, სხვა და სხვა მიზეზისა გამო,
ეს შკოლაც დაიკეტა და მხოლოდ ოთხ-
ხუთ ადგილას საეკლესიო სამრევლო შკო-
ლაი დარჩა დაუკეტელი, რომელშიც წე-
რა-კითხვას მიიღეს ასწავლიდენ. ამ შკოლე-
ბის დაკეტვაც განიხილეს. მის არ მხოლოდ
შესანიშნავი მიწერილობა მუთისის ღუ-
ბერნატორისა, 24 იანვრილამ 1873
წლისა, რომელიც „საბრძენის“ მე-14-ში
იყო დაბეჭდილი. ბრძანება მიეცა ყველა
უფროსს უფროსებს, რომ ღუბერნატორის
ნება-დაურთველად არსად არავითარი შკო-
ლა არ უნდა გახსნილიყო.

ბულიც არ არის! მანიშნავს თქვენი ჰორი წი-
ლის, მაგრამ ფულსაც შეუკრებიან მასწავ-
ლებლებისათვის იქ, სადაც ჯერ შკოლის შე-
ნებაც არ დაუწყიათ... მასწავლებლები ამბო-
ბენ, ბრძანება გვაქვს, მასწავლებლებისათვის
ფული შეეკრებოთო, მაგრამეს დასჯერი არ
არის, რომ მასწავლებლებისათვის ბრძა-
ნება მიეცეს მათთვის იმ საზოგადოებაში,
სადაც ჯერ შკოლა არ არის აშენებული.

მცადა ხუთი თუთანი, სახალხო ორ-სამი
ოთახი და შემო თუ ექნებათ განა თათის
დროს ელანდელ მასწავლებლებზე უკეთეს
კაცებს ვერ იშოვნებდნენ?

ამასთან აი კიდევ ერთი სამწუხარო რა
არის: სოფლის კანცელარები საზოგადოე-
ბის თანახმობით არ არიან ყველგან აშენე-
ბულნი შუა ადგილზე; ზოგი სოფლის კან-
ცელარია ისეთ ალაგას არის აშენებული,
რომ არცერთი სოფელი არ ეახლოვება;
ამით ძლიერ დაბრკოლდა საქმე. მთავრო-
ბისაგან ბრძანება ჰქონდათ, შკოლები კან-
ცელარებთან აეშენებიათ. შევჩნდით ითხოვე-
რამ ორ-სამ საზოგადოებას ერთი შკოლის
აშენება დააჯერონ, მოხერხებულ ადგილზე;
მაგრამ ამაზე ნება ვერ მიიღეს, შკოლის
სახლები ისეთ ადგილას არიან აშენებულინი,
რომ სრულგვით არცერთს გლეხს არ ეახ-
ლოვება და შორიდან მოგვს სიარული არ
შეუძლიან. ამ მიზეზებისა გამო, თურმე
ერთ შკოლაში ექვსი თუ წათი შაგირდის
მეტე არ არის და მასწავლებელი კი დაღე-
ბულ ჯამაგირს იღებს; მეორე ადგილას ამ
საზოგადოებაშივე ერთ ოთხი კლასის კურს-
სერსტულებულს აქვს შკოლა გახსნილი,
ეპისკოპოსის ნება-დართვით, და კარგს ად-
გილზე, და ამისათვისაც მის შკოლაში ორ-
მოც შაგირდზე მეტი სწავლობს. ბასაკვირ-
ველი არ არის, რომ გლეხის შვილები იმ
შკოლაში კი შედიან, სადაც ფულს ხანდევ-
ნებენ და სადაც უფულოთ ასწავლიან, იქ
არ მიდიან!

რა არის მიზეზი, რომ ხალხი ფულს არ
იმოგავს და გულგრილთა შკოლის საწყის
არ უყურებს, მაგრამ თათის ბრძანების
წლის შეზღვევ, აღარ აყენებს შკოლაში? ამის
მიზეზი ის არის, რომ ამ მასწავლებლებში
მიღებული სწავლის ნაყოფს ვერ ხედავს
ხალხი. სარჯი მიღის, საქმე არა კეთდება
რა, ხალხი წვალბას უცოდინარობისაგამო,
მაგრამ რადგან დაწესებულნი არიან, რომ
წვალბებისთვის არიან დაბადებულნი, აღარას
სცდილობენ და ერთნაირ მდგომარეობაში
არიან ნიადაგ.

აი, ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ჩვე-
ნი ხალხის განათლების საქმე. მნახოთ, ბო-
ლოს რა იქნება.

X.

რუსეთი

იმ არეულობაზე, რომელიც ამას წინათ
მოხდა ზოგიერთს პეტერბურღის უმაღლესს
სასწავლებლებში, დღემდე რუსულ გაზეთებ-
ში არაფერი ამბავი არ იბეჭდებოდა. ახლა
„პეტერბურღის გაზეთში“ დაბეჭდილია ერ-
თი სტატი, რომლიდანაც ვხედავთ ვტყობუ-
ლობით:

არეულობას არავითარი პოლიტიკური
მნიშვნელობა არ ჰქონია. მედიკო-ხირურ-
გიისა, ტენოლოგიის ინსტიტუტის, უნი-
ვერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებ-
ლების სტუდენტებმა მხოლოდ თავიანთ
შინაურულ საქმეებზე განაცხადეს უკმაყო-
ფილება.

ტენოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებს
ქუჩაზედაც მოუხდენიათ არეულობა; მაგ-
რამ, როგორც შემოხსენებული გაზეთი ამ-
ბობს, დააკმაყოფილა თუთრა მთავრობამ
ზოგიერთი იმათი თხოვნა, იმწამსვე დაწყ-
ნარდნენ. როგორც მედიცინის უკადემიაში
უნივერსიტეტშიაც პირველად პროფესორის
სიონის გაგდებაზე ჩამოვარდნილა სტუდენ-
ტებში ლაპარაკი და ამას გარდა უთხოვე-
ნით, ინსპექტორის თანამგწვე — პალმინი
დაითხოვეთ სამსახურიდანაო. როგორც ეს
ორი სურვილი დააკმაყოფილა რექტორმა
(ჩედიკინმა), სტუდენტებშიც იმწამს მშვიდო-
ბიანობა ჩამოვარდოა, ამბობს გაზეთი.

* *

ამ საქმისვე თაობაზე მეორე გაზეთი
გვაცნობებს, რომ ერთს პეტერბურღის მომ-
რჩებელ მოსამართლესთან დეკემბრის 13-ს
ტენოლოგიის ინსტიტუტის 24 სტუდენტის
საქმეა დანიშნულია, რომელთაც საზოგა-
დო მშვიდობიანობისა და წესიერების დარ-
ღევეს აბრალებენო; ბრალდებულების დამ-
ცველად ნაფიცი ვექილი შტინი იქნებაო.

* *

რუსული გაზეთი „რუსის ძველანა“ გვაც-
ნობებს, რომ ამ ქაშად გადაყენებული პრო-
ფესორი სიონი, რომლის გამოც უკადემია-
ში და უნივერსიტეტში პირველად არეუ-
ლობა დაწყებულა, მომავალი წლიდან ისევ
დაიწყებს ლექციების კითხვისაო...

* *

ორი წელიწადი იქნება, რაც იაროსლავ-
ლში მოსწავლე ახალგაზრდობის დამხმარე-
ბელი საზოგადოება შესდგა, რომლის მი-
ზანი თვით სახელიდანა სჩანს. ახლად გა-
მოცხადებულ ამ საზოგადოების მოქმედები-
სა და შესავალ-გამოსავლის ანგარიშიდან
ვტყობულობით, რომ წლის განმავლობაში
საზოგადოებას — 1650 მანეთი დაურიგებია
ღარიბი მოსწავლეებისათვის, და კასსაში კი
დღე 2,43 მანეთი დარჩენია.

საეკლესიო შკოლების დაკეტვამ სამ-
ღვდლოებმა უარი განაცხადეს.

და ისევ იმავე ღუბერნატორმა ყოფ-
ლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს
ბაბრიელს სთხოვა, რათა მას მოესწინა
განკარგულება და საეკლესიო პრიზიდის
შკოლები დაეკეტებინა, სადაც იყო იმის
ეპარხიაში.

მე-14 მუხლი სასულიერო კანსისტო-
რიის წესდებისა ყველა ეპისკოპოსებსა და
მღვდლებს მოვალედ ჰხდის, რომ ეცადონ
სამრევლო შკოლები გახსნან ეკლესიის სიახ-
ლოვეს და რაც შეიძლება მათი რიცხვი
გაამრავლონ.

ჩვენი ყოვლად-სამღვდელო, რომელიც
შკოლების გავრცელებაზე ბევრს ზრუნავს,
არ დათანხმდა შემოხსენებლის განკარგულე-
ბაზე. ამ ნაირად ეს საქმე გათავდა მით,
რომ ყველა სახალხო შკოლები მოისპო და
დარჩა მარტო სამრევლო შკოლები.

1873 წლიდან ამ დრომდის ჩვენი ხალხის
განათლების თაობაზე მიწერ-მოწერა იყო.

და ჩვენი ხალხი დარჩა ისევ უშკო-
ლოდ ზეცილამ მოელის განათლებას,
ჰგონიათ, თუ ლუქსასავით ჩაუარდ-
ბათ პირში განათლება. ახნაურები გლე-
ხებს უყურებდნენ, გლეხები ახნაურებს და
ორივე ერთად მთავრობას.

წელს შკოლის საქმე ისევ გამოიღვიძა:

ბლესებს პირობა დააღებინეს, რომ-
ლის ძალით ისინი ეალდებულნი გახ-
დნენ თვითფულ საზოგადოებაში შკო-
ლებისათვის სახლები აშენონა და მასწავ-
ლებლებს ოთახი მისცენ შესაფერი
და ორას ორმოცდა ათი მანეთი უნდა
ჯამაგირი წელიწადში აძლიონ. ამ განჩინე-
ბის ძილით, მამასახლისებმა გადახდევინეს
გლეხებს შკოლების ასაშენებლად თვი-
თო გლეხზე ხან მანეთი და ხან მა-
ნეთ ნახევარი, ასე რომ თითო შკო-
ლის აშენება საზოგადოებას ორას თუმნამ-
დისინ უჯდება. მაგრამ ეს შკოლის სახლე-
ბი არც ას თუმნად ღირს.

მაიგეს თუ არა ამისთანა განკარგუ-
ლება, მოაშურებს ისევ სხვა და სხვა ად-
გილებიდან ბრალიანმა და უბრალო ხალხ-
მა, რომელნიც სოფლის შკოლების მასწავ-
ლებლად დანიშნენას თხოულობენ. ზოგმა
დასდვა პარობა, მთელ საზოგადოებას ისე
გაფანთლებოთ, რომ ყველა რუსულად ლა-
პარაკობდეს!

ჩვენში იტყვიან ანდაზათ: „მშაქი ტიკს
ალბობდა და ლეინო კი არსად იყოო.“
ამის არ იყო, ეს მასწავლებლები კიდევაც
დაამტკიცეს და შკოლები კი ჯერ აშენე-

საწყალ ჩვენ გლეხებს ეგონათ, სოფლის
შკოლა თუ გაათავა ჩვენმა შვილებმა, მწერ-
ლოდ მიიღებენ და ათს თუმანს და ოცს
ჯამაგირს აიღებენო. ეს აზრი, რასაკვირე-
ვლია, ტყვილი იყო და არც აუსრულდათ.
მნლა თითქმის ყველა დარწმუნდა, რომ
მათთვის გროშათ გამოსადევი არ არის ამ-
გვარი სწავლა, გინდა ძველი მეტოდით და
გინდ ახალი მეტოდით ასწავლონ. მანსა-
კუურებით ეს ძნელად ნასწაველი რუსული
ენა სამს წელს რაც უსწავლიათ, წვალებით,
აფიწყებთ ერთ თვეს, და რჩებიან ცარიელ-
ნი; ქართულ ენას მათ ვინ ასწავლის! მო-
მეტებული ნაწილი მასწავლებლებისა ისე-
თები არიან, რომელთაც ქართული სულაც
არ იციან.

მნლა თითქმის ხალხიც მიხვდა, რომ მათ-
თვის ყველაზე უფრო სამეურნეო შკოლებია
საქირო. რაც ფული სოფლების შკოლების
აშენებაზე დაიხარჯა და იხარჯება და მათი
მასწავლებლის ჯამაგირზე იმ ფულების
მეთედით რომ ჩვენმა გლეხებმა თითო საზო-
გადოებიდან თვითო ყმაწვილი გაგზავნონ
სამეურნეო სასწავლებელში, დიდს სარგებ-
ლობას მოუტანს ჩვენს უფებს. დღეს ჩვენში
საქიროა მცოდნე კალატაზები, მჭედლები,
ღურგლები, ხარაზები, მკერელები, მებაღე-
ები და სხვა ამგვარი. რასაკვირველია, კარ-
გია, არათუ რუსული ენის ცოდნა, არა-
მედ ფრანკუსული და ნემესურისაც, მაგრამ
ამისთანა უთავბოლო შკოლებიდან არა გა-
ნისათვის. . . .

„დროების“ კორექსიონდენცი

ზარი, 12 დეკემბერს.

რაც 1854 წელს ბორიდან უკანასკნელი
პოლკი გაეიდა, მას დღეს აქეთ უკან და უკან
მიდიოდა ბორის მცხოვრებლების მდგომარე-
ობა. შესწყდა ხალხის მოძრაობა და და-
ეცა საშინლად ეპატობა. მომეტებული ნა-
წილი ეპატობისა სხვა და სხვა მხარეებში გა-
იფანტნენ სავაჭროთ. თითქმის ყველგან შა-
ვი ზღვის კიდებზედ შეხედებით დღესაც
გორელს ეპატობს: ნოვოროსისკში თავი და
თავი ეპატობს თითქმის სულ გორელები
არიან; იქიდან გამოყოლება: სოხუმში, შო-
თში, მუთისში, შიფლისში, ძაგუაში, ბრო-
ზნოში და სხვა და სხვა ალაგებში. მუთისში
ხომ თითქმის ნახევარი გორელები არიან.

ამ ნაირათ როგორც ხალხით ეგრეთვე
ეპატობით გალატაკებული ბორის ქალაქი
წარმოუდგენდა კაცს სამწუხარო სურათს.
ღანარჩენნი ბორში მცხოვრებლებიც ამნაი-
რის უეპატობისაგან რომ ძლიერ შესწუხ-
დნენ, დაუწყეს მთავრობას ხევეწა და თხო-
ვნა, რომ როგორმე ისევ პოლკი დაეყენე-
ბინათ ბორში; და რაც კი დასტირდებოდა
ამ პოლკს: სადგომი, ან საბალახე და ან სა-
ბოსტნე, ყველას ამას ეს გორელები ჰპირ-
დებოდნენ უფასოთ დათმობას. მას დღეს
აქეთ დღემდისინა ყოველ-წლივ არ ეშვებო-
დნენ მთავრობას ამ ნაირის თხოვნით.

და აი ახლა კი დასდვა ეს მუდამ ამ გო-
რელების საწადელი და სანატრელი დღე და
ძლივს ეწონენ ამ თავიანთს სურვილსა.
მთავრობამ დაუყენა პოლკი, და გარდა ამი-
სა, ორი ბატარეაც. წარსულს ნოემბრის 8-ს
შევიდა ბორში ორი ბატალიონი, რომელიც
მცხოვრებლებმა დიდის აღტაცებით მიიღეს,
და დანარჩენიც ამ დეკემბრის 15-დინ უნდა
მივიდნენ. ახლა აიწია ისევ უფასო მამულებ-
ზედ და ეპატობაც ძრიელდება თანდისთან(?)
ამბობენ, რადგანაც ჯერ ჯერობით ყველა
ეს ჯარები, ბორში ვერ დაეტყუაო, ამისა-
თვის ერთ ბატალიონს ხიდის-თავში აყენე-
ბენო.

ზარდა ამისა, ბორის საზოგადოება გარი-
გებია ერთს ინგლისელს, მტკარაზედ, ეხლან-
დელი ხის ხიდის ალაგას, რკინის ხიდის გა-
კეთებას, და განზრახვა აქეთო, რომ ამ ხიდის
ხარჯში თავის უფზდის ხალხიც უნდა მიაკე-
ნონო და ამის სამაგიეროდ ხიდზედ სიარუ-
ლი უფასოდ იქნებაო.

ს. ცერეაძე

შორანის უფზი, 12 დეკემბერს.

1865 წლიდან 1870 წლამდე ჩვენშიაც
და სხვაგან, მუთისის გუბერნიამი, კარგა
ბევრი შკოლები იყო. 1870 წლიდან უმე-
ტესად გამრავლდა. ბავარდა ხმა, ხალხი გა-
ნათლდაო და ამ ხმების შემდეგ ბევრი ხა-
ნი არ გასულა, დაინიშნა მუთისის გუბერ-
ნიამი სახალხო შკოლების ინსპექტორი.
ამან ჩამოიარა, დახედა ყველა შკოლები,
ზოგი მოიწონა, ზოგი დაიწუნა და ჩვენ
გვეგონა, რომ შკოლების რიცხვი გამრავ-
ლდებოდა უმეტესად, მაგრამ მეტი შენი
მტერი ნუ არის! ეს ჩვენი უმეცლესი
უფზი ისე დარჩა, რომ მარტო ერთს ძა-

საქართველო

საზღვრის დაცვა

ნაციონალურ ძარბაში, ერთი დებუტატის წინადადებით, მოლაპარაკება ყოფილა იმაზე, რომ საფრანგეთის სასაზღვრო შერატების მასწავლებლებს ჯამაგირი მოუშაბათო და საზოგადოათ უნდა ევცადოათო, რომ მასწავლებლები ისეთს ვაჭირებულ და საბაველ მდგომარეობაში არ იყენენ, როგორც ესლა არიანო. დებუტატის აზრით, ამ თავითვე შეიძლება კანონად დადება, რომ შერატის მასწავლებელს, 300-400 ან 500 ფრანკის მაგიერად, წელიწადში 800—დამ 1000 ფრანკამდე ჰქონდეს ჯამაგირი; ამას გარდა პენსიის დამსახურებისათვის 30 წლის მაგიერად 25 წელიწადი უნდა იმსახურონო. შინაინსის მინისტრი წინააღმდეგი ყოფილა ამ კანონისა, ფულები არ არიანო; მაგრამ ძრებამ კიდევ მეორეთ უნდა მოილაპარაკოს ამ საგანზე.

— ძამისიამ, რომელიც 1870 წლის 4 სექტემბრის მმართველობის მოქმედებათა განსახილველად არის დანიშნული და რომლის თავს-მჯდომარეთ პერროა, გამოსკა ახლახან კიდევ თავის შრომა, რომელშიაც ბარბალოზე პირ-დაპირ ამბობს, რომ ამის წინ-დაუხედავობით და დაუღვეწლობით ბევრი ზიანი მიეცა ომიანობის დროს საფრანგეთის ჯარსათ, იმას შეეწლო მანტიფელის არმია დიჭრანის ხეობასთან შეჩერებია და განგებ, მოლაღატობით არ შეაჩერაო. შრთის სიტყვით, ბარბალოდის მოქმედებას ბაზენის მოლაღატობას აღარებს და ამბობს, რომ იმის სიძახუნემ საფრანგეთს იმდენი ზიანი მიაყენაო, რამდენიც სედანში და მეცში მიადგაო.

რალა თქმა უნდა, რომ ეს აზრი ყოველად უბატოაონო და ტყუილია. შევლა გამოცდილი და დახელოენებული მხედრები ესლათანხმანი არიან იმ აზრზე, რომ ამ ომიანობის დროს, არცერთ ნაპოლონის ღვენრალის ისე მამაცურად, თავგანწირულობით და მხნედ არ უმოქმედნია როგორც ბარბალოდში, იმის შეიღებმა, განსაკუთრებით რიჩიორტიმ და მოგების არმიამ.

ბერმანია

პოლშელ დებუტატებს ერთხელ კიდევ ჩამოუვლიათ სჯა ბერმანიის რეისტრახში იმ შევიწროებაზე, რომელიც პრუსიამ განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს პოლშელებს მიაყენა. დებუტატები თხოულობენ, და ამ თხოვნას ბევრ საბუთებზე აფუძნებენ, რომ პრუსიის პოლშაში დედა-ენა, ე. ი. ოფიციალურად სახმარებელი, პოლშური ენა უნდა იყოსო და არა გერმანიულიო.

ბერმანიის რეისტრახს ამ საგანზე ჯერ არაფერი განჩინება არ დაუღვია.

— ბისმარკმა ნემეცები დააფთხო: ამ მოკლე ხანში იმას, რალაც პარლამენტური უკმაყოფილების გამო, სამსახურიდამ გამოსვლა უნდოდა, ეთქვა, რომ ესლანდელის რეისტრალში ჩემი პოლიტიკის მომხრები რიგინ უმრავლესობას არ შეადგენენო და ამას გარდა დაეიღაღე კიდევო, და სამსახურის თავის დანებება განზრახა. მაგრამ ბერმანიის იმპერატორმა და იმის მეგვიდრემ სთხოვეს და თავის განზრახვისაგან ხელი აიღო.

— აღრინდელი ბერმანიის ელჩი საფრანგეთში—გრადი პრინცი, რომელიც ბისმარკმა ამას წინათ დიპლომატიური საბუთების მითვისებისათვის, დაატუსალა და სამართალში მისკა, გაუსამართლებიათ და სამი თვით საპყრობილემი ჩაუშვედევიათ.

იხალბა

ბაზეთებში დაბეჭდილია ბარბალოდისაგან ერთს მეგობართან მიწერილი ბარათი, რომელშიაც ამბობს, რომ „თუმცა ვიცი იტალიის პარლამენტში იმე გამოვადებენ როგორც ბარბალოდში, მაგრამ მე ჩემს დებუტატის მოვალეობას მიიწევასრულებო: გამოვცხადებდი პარლამენტში, ვიტყვი რაც სათქმელი მაქვს; ჩემი აზრი, იმედია, უდაყოფოთ არ ჩაიღვოს.“

სამართალის ცხოვრების

სტატია VII

დავით სოსლანის მეთობა ძართლოძახეთში.

1251 წელს დავით სოსლანი დაჯდა საქართველოში სამეფოს ტახტზე; მაგრამ 1259 წელს, დავით ნარინის იმერეთში გადევნების შემდეგ, ის დარჩა მხოლოდ ძართლოძახეთის მეფედ. დავით იყო ტანით სსელი და ძლიერი მეომარი, მაგრამ ძალიან მალე შორწმუნე.

შამეფებამდე ამან ძალიან დიდი მწუხარება და ბედის უკუღმართობა გამოსკადა, და თუმცა ბუნებითი ნიჭი კარგი ჰქონდა, მაგრამ ბედისაგან სასაცილოდ ავდებამ იმას სრულიად დაუკარგა სასიათი თვითმოქმედებისა. ის იყო კაცი დაჩაგრული, მაგრამ რადგან ვაჟკაცობა, როგორც ყველა მაშინდელ ქართველს, ამასაც არ აკლდა, ამისათვის მონგოლების ნოინებსა და ყავებს ის ძლიერ უყვარდათ. 1253 წელს ბათო ყაენმა ის თავისთან რუსეთში დაიბარა და ფრიად დიდის პატივისცემით მოგებრა. მონგოლების კანონისამებრ ქოლგის აღება არაღვის შეეძლო თვითონ ჰაენისა და იმას ნათესავებს გარდა; მაგრამ ბათომ ისრე შეიყვარა დავითი, რომ თავის ნათესავებში შერაცხა და მისკა სუჭური საჩრილობელი.

ამავე წელს მოხდა სახელმწიფო რჩევა და აქ გადასწყვიტეს, რომ სამეფო თათბირში მეფე დავითსაც ყოველთვის მონაწილეობა მიეღო და თათბირში მესამე ადგილს დაიღვარყო: „რამეთუ ესე იყო წესი თათბართა, რომელ ჰაენს წინ ვერ-ვინ დაჯდებოდის არცა პურისა ჰამასა შინა (მზჭ გე-შარ, სხოვ.“)

დავითი რომ რუსეთში ბათო ყაენტან წავიდა, მაშინ თვისი სამეფო შიჭურსა და თავის ცოლს ზიგათ ხათუნს ჩაბარა. შიჭური იყო ერთი უთვისტომო და უშვილო კაცი, მაგრამ დავითმა ერთგულებისათვის ისრე აღამალა, რომ თავისი მეფობა და მეჭურჭლეთ უხუცესობა იმას მისკა. დავითის მოსვლამდე ის ისრე განავებდა და მოურაგობდა, რომ „ჟამსა შინა ამისსა სრულიად სამეფოსა შინა მზარაგი და ავსაკი არა იზოვებოდა, და თუ სადა გამოჩნდის, ძელსა ჩამოქიდან;“ სხვა სასჯელი იმან არ იცოდა ქურდებისათვის (384 გვ.); მაგრამ ამის სამსახური მართა ამაში არ მდგომარეობს. შალაღ-მდინმა 1231 წელს სფილისი სრულიად გაავერანა, მაგრამ ამან თავის მხნეობით ისევ მოაშენა და გამშვენიერა. მარდა ამისა მეფის რუსეთითგან მოსვლამდე იმან მშვენიერად შეაკეთა აქლბარში ისანის სასახლე.

„მართლის ცხოვრებდგან“ სჩანს, რომ ეს კაცი ძლიერ ჰყვანი და სამეფო ნიჭის მექონე იყო. რადგან სამეფოს ძლიერება ხალხის კეთილად ყოფა-ცხოვრებაზე დამოკიდებული, ამისთვის ყველას შემწეობას აძლევდა და ამხნეებდა შრომის მოყვარეობას. როგორც ეტყობა, ესა და სოტენ დავითი, რომელიც იმერეთში პირველი ნაზირ-ეზირი იყო, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სამეფო საქმეების კეთილად მმართველში. ეს იქიღანა სჩანს, რომ ამავე დროს დავითმა მეგრელებში ქურდობა მოსპო. როგორც ეს სოტენ დავითის სკდილობდა იმერეთში მეფის უფლებების განძლიერებას და მთავრების შესუსტებას, ისრე ეს შიჭური კდილობდა ყველა მართლ-მასეთის მთავრების მეთისთვის დამორჩილებას. მაგრამ მონგოლების მთავარმა თორღუამ იფიქრა, რომ მეფე აღარ დაბრუნდებოდა რუსეთიდანო; გადა, ძახიღან წამოვიდა და შევიდა პანკისის ციხეში და თვისად დაიჭირა მთელი ძახეთი. ამ კაცმა აღაშენა ბაღმა მზარში ციხე, რომელსაც ეწოდა თურქულ სახელიად თორღუას ციხეს უწოდებენ; საინგლოში (ზაქათალის მახრამში) კი მმართველად დასტოვა თავისი ძმები. ისინი ისხდნენ სოფ. ძახში, რომელსაც უწინ „თორღა“ რქმევიან.

მაგრამ 1254 წელს დავითი დაბრუნდა და თორღუას განდგომა ძალიან იწყინა. შიჭურის რჩევით ის დაბარა და როცა უკვლევლობის ფიქრანს ქვეშ მოვიდა, თვითონში, ღალატობით შიჭურმა ის შეიჭრო, და ვიდრე მეფე მოყვანას შეიტყობდა, დიღაღლის განზრახვით ის მოხკა და ძახეთი, ანუ უფრო უფრო ვითვებო, მთელი გომამზარნი წესამდე ისევ მეფე დაიჭრო. ამ დროს მონგოლებმა გამოგზავნეს საქართველოში კანგრაღის ასაწერად ვინმე კაცი არღუნი, აწერა დაწვეს:

„მაცთთან პირუტყვთამდე, ყანით ენა-ხამდე და წალკარით მოსტანამდე. და ცხრა-სა გლგებსა სრულისა მიწისა შიჭურებელსა ერთი დაშქარს წარმავალი კაცი შეადგინაო და გამოვიდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა თუმანი მხედარი, რომელ არს ცხრა ბევრი. (თითო ბევრი შეადგენს 10,000 მხედარს) (388 გვ).“

მაშასადამე აღმოსავლეთის საქართველოს ჯარები, რომელიც მონგოლებსა შეელოდნენ რიგ-რიგობით, ნახევარი ერთ წელს, ნახევარი მეორეს, შეადგენდნენ 90,000 კაცს, რომელიც უნდა გამოეყენებინა 810,000 მამრობითი სულს. ამაზე რომ ვინაგარიშოთ კიდევ ერთი ამდენიც მდღერობითი სქესი, მაშინ აღმოსავლეთის ქართველების რიცხვი იქნება 1,620,000 იმ გამოვიღების გარდა, რომელიც შობიღან ათის წლისა არ იყენენ. შობიღან ათის წლის ქალი და ვაჟიც ამათზე რომ საშუალო რიცხვით ვინაგარიშოთ, მაშინ ქართველები, იმერელებს გარდა, იქნებიან 3,240,000 სულნი. ზმ სახით და ამ გვარის ანაგარიშით გამოაყავს აკადმიკოს შროსეს ოთხი მილიონი მცხოვრები აღმოსავლეთის საქართველოში. ამისათვის რომ იმერეთი მონგოლებს არ აღუწერიათ, მაგრამ საქართველოს ამ მეორე ნაწილშიაც რომ იმდენი ვინაგარიშოთ, რამდენიც იქ იყო, მაშინ სულ ქართველები მართლმად-სხეთში და იმერეთში იქნება: 6,480,000 კაცი, გარდა თავდაზნაურებისა.

ამ კამერალის აღწერის შემდეგ 1258 წელს 90,000 კაციღან მონგოლებმა 45 ათასი ქართველი ჯარი წაიყვანეს ბალდაის ხალიგატის წინააღმდეგ. საზრგეთში ამ დროს მანად იყო ზუღაგუ, რომელიც ჩვენს მატინანში შლო-შენად არის წოდებული. როგორც შლოსსერი ამბობს თავის ისტორიის მე-XVII ტომ., 228 გვერდზე, იმის თანახმად „მართლის ცხოვრებდა“ ახსნის ბალდაი ქალაქის აღებას. შარბი მოადგნენ ორის მზრით. შრთის მზრით ყველა მონგოლები იყენენ, მეორეს ქართველები. ბალდაი-ღებები შეიკეტნენ ქალაქში. შრ თვის განმავლობაში სებაებს ადგილდნენ ქალაქს ასაღებად, მაგრამ ეგრას აწყობდნენ. ბოლოს ქართველებმა შესთხარეს ხელდევ, წამოაქცივეს და შეცივიდნენ შებ. ასტუდა ძლიერი ომი და მოსწენს პირითა მახვილისათა ეს-თდენ, რომელ არა იყო რიცხვი და საესე იყო ფოლორტი, უბანნი და სახლნი მოკლულითა კაციო. შლოსსერი ამბობს, რომ ორმოცა დღის განმავლობაში 800 ათასი კაცი მოკლაო. მართველებს არაოდეს იმო-დენა საშოგარი არ ეშოენათ, რამდენიც აქ იშოვეს. „შარ. სხოვ.“ ამბობს:

„მსრეო აღესწეს ლაშქარნი, რომელ უნაგარი ცხენ-ჯარისა, ყოველი შეურაცხი ნაშახურებელი ეფლითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთა განტეხიან, და ზოგნი ხრზალის ვადს პირთა მოსტეხან და ქარქაში ოქროთა განტეხიან და ზედა ვიდი ჩაავიან. (გვერ. 384)“

მერმე დაიჭირეს მუსტასემი, რომელიც შლოსსერის აზრით ძალიან მდღარი და ძუნ-წი კაცი იყო და სასახლემში ნახეს „სიმღი-დრე განსაკვირვებელი.“ შლოსსერი ამბობს, რომ მუსტასემი ცხენის ფეხ-ქვეშ გასრიხესო; მაგრამ „მართლის ცხოვრება“ ისრეთის დაწერილებით ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება არ დავერწმუნოთ. რადგან მღვა ნონმა იმას პირობა მისკა, რომ არ მოგკლავთო; მაგრამ იმან თაყვანი არა სკა მულა-გუს, ამისათვის (თიცის დაურღვევლობისათვის) თვითონ ბულაგუმ მოსჭრა თავი.

ბალდაის აღების შემდეგ დავითი დაბრუნდა საქართველოში და მოკლა შიჭური, დავითს პირველი ცოლი ბეანცა დედოფალი რომ მოუყვდა, მერმე ბეანცის 15 წლის ასული ცოლათ შეირთო. მს შიჭურის სწყინდა. ამისათვის ეს დედოფალი და იმისი მომხრე სუბმათ მობელიანი იმას მტრობდნენ. მალე-მორწმუნე დავითი რომ დაბრუნდა ომი-დგან, უთხრეს, რომ შიჭური ღალატობას გიბრობსო. ამისათვის ის ღამით დაიჭირეს; რომ მოიყვანეს ისანის სასახლემში, მაშინ დავითი ვანჯარასთან იჯდა და მტევარს გა-დაპყრებდა. იმან „არღარა სიტყვა ჰყო მისთანა, არამედ განუკითხავად ბრძანა მთავ-

დებად მტევარსა:“ დილა რომ გათენდა, ქალაქის ხალხმა ნახა შიჭურის გვამი მტკარი-საგან გამოჩივლი და ყველას ძლიერ შეუვირა იმისი ასრეთი-ანსაღარა სკეცილი რადგან ის ეთვისტომო იყო, ამისათვის ღიღანს დაუსაფლავებელი ეგლო რიყე-ზე. ბოლოს

„მეტრებს ყოველნი გლაპანი და ქერიე-ობოლი და ვეღრნეს მეფესა, რათა მიანიჭოს ევამი შიჭურისა, ამდ რომე მზავალი კეთილი ექნა მათხედა. მსმანა დავითმა და მისკა გვამი მისი და მრავლითა გლეგბითა წარიღეს ეკვლესიასა წინდისა ქალწულისა მრისციხისა, რომელი ხვარაშგელთაგან და-რღვეული ახლად აღმწენებულ იყო, და მუნ დადღეს დიღითა პატივითა, საცა ოდენს გლა-საკთა ძალ ეღვთა (გვერ. 384).“

მს სამეფო საქმეების მართველობის მა-ლალი ნიჭის მექონე შიჭური რომ არაფერ-ში არ იყო აღმანაშაგი, ნებს მოწმობას არ საქიროებს, ამისთვის რომ იმას ძლიერ კარ-გათ ამართლებენ გლაპანი და ქერიე-ობო-ლნი, რომელთაც ის თავის ხარჯზე დასა-ფლავეს და დიდათ იგლოვეს; და ბეანცასა და სუბმათ მობელიანს კი ისრეთი შევი-ბეჭდი განკიცებისა და შემარცხენელობისა დაასვეს, რომ იმის გარეყვას საპროთაც ვერ შეძლებენ ახლადღელნი ამათი მსგავსი პირნი.

ინგილო შინაშელო

სისტორიის-მეცნიერება

(დასასრული)

სქმდგომს დროში ნესტორიანები არი-ან ძალიან დარბ მდგომარეობაში. რაოდენიმე წლის წინათ და ესლაც ამერიკელების მისიონერების შემწეობითა რაოდენიმე სახ-ლობა მსცხოვრობდნენ და მსცხოვრებენ უზრუნველად; მაგრამ სხვანი სიღარიბეში, სრულიად უმეცრებაში და დაუღვრომელ მისში იყენენ და არიან იმ უქრისტიანო მთავრობადგან, რომლის მფლობელობისა ქვეშე იმყოფებიან.

მს უნდა ვესთქვათ მდბიო: ერზედ, მაგ-რამ სამღვდელოშიაც ძნელათ იზოვით გა-ნათლებულ კაცსა; ზოგერთ ნესტორიანთ დასის წარმომადგენებელთა არ შეუძლიანთ სხვა ქრისტიანობრივს მწაფელასთან თავის სწავლის გარჩევა. მე თვით რაოდენჯერმე გამოვივლიე სხვა და სხვა სამღვდელო პირთაგან და დებირდი დიდი საფასი, მა-რამ მათგან ვერც სიტყვიერად და ვერც წერილით ვერა ვაფარა. ისევ რაც მოვი-ძიე, ისიც სიტყვიერად თქმული ერთი პატიე-ცემულის მღვდლის მიხაილისაგან, რომელ-მაც მიიღო პეტერბურღში მართ-მადიდებლო-ბა.

თოთხმეტი წელიწადი იქნება, რაც ამე-რიკის მისიონერები შევიდნენ საქალაგებლად და ახლაც ქადაგობენ შრუმში; აქეთ სასწა-ვლებელნი ქალისა და ვაქისა, საერთმყოფო; უსასყიდლოთ აქლგენ წამლებსა და სხვას ბევრს შემწეობას აძლევენ.

ამას გარდა ამ უკანასკნელ დროს ნეს-ტორიანთა ათასობით მიიღეს მართ-მადიდე-ბლობა მღვდლის დავით ბურგენიძის ხელი-თა. ამათ შორის იყენენ ინგლისელნი და კათოლიკნი ნესტორიანი; ესლა, როგორც მესმის, შრუმიდგან ელიან ჩვენი მთავრობის შემწეობას, რომელთა შორის შუამდგომ-ლობს რუსეთის თავრიზელი კონსული, უფ-ბეზობრაზოვი.

ნება მომეცეს ორიოდ სატყვისაც აბის-სიონელებზედ და შოიცილებზედ, რომელ-ნიც შეადგენენ საკუთარ ტომსა და აღი-არებენ იმავე სარწმუნოებასა. ამათზედ ჩვენ-განთა არავის არ გამოუკვლევია და არც იციან მათი ვითარება და სარწმუნოება, თუმ-ცა ეს ხალხი ითვლება რეა მილიონამდინ.

ამათ ჰყავთ თვისი საკუთარი მეფე და აღიარებენ სარწმუნოებასა ფრიად ახლოსა მართმადიდებლობისადმი. მინც კი ისურვებს ამ ხალხში მოგზაურობასა აღმოსავლეთისა-

